

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2020 წლის 7 დეკემბრის დისტანციური სხდომის

ო ქ მ ი N 3

2020 წლის 7 დეკემბერს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დისტანციური სხდომა. დისტანციური სხდომის ფორმატში მონაწილე სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, მარიამ ჩხარტიშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ლევან გორდეზიანი, ავთანდილ სონღულაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ელდარ ბუბულაშვილი, გიორგი ქავთარაძე და ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ვალერიან ვაშაკიძე (კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე). საბჭოს დისტანციურ სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ დისტანციური სხდომის მდივნად წარადგინა მარიამ ჩხარტიშვილი.

ჩატარდა კენჭისყრა.

მომხრე – 13 წინააღმდეგი – 0.

კენჭისყრის შედეგად, ქალბატონ მარიამ ჩხარტიშვილის კანდიდატურა ერთხმად იქნა მიღებული.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. 2020 წლის გეგმით გათვალისწინებული წლიური თემების მონიტორინგის საკითხი.
2. ინსტიტუტის აქტიურობის გაზრდა სოციალურ ქსელებში (ოფიციალური ფეისბუკ გვერდის შექმნა).
3. მიმდინარე საკითხები.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. 2020 წლის გეგმით გათვალისწინებული წლიური თემების მონიტორინგის საკითხი.

ლავრენტი ჯანიაშვილმა აღნიშნა, რომ ყოველწლიურად ხორციელდება ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შესრულებული წლიური თემების მონიტორინგი. წელსაც,

საჭიროა დავთქვათ ვადა, როდისთვის უნდა შეიკრიბოს მონიტორინგის კომისია, დავასახელოთ მისი ხელმძღვანელი და დავადგინოთ, როდის და რა ფორმით მოხდება ჩვენი წლევანდელი ნამუშევრების შემოწმება. ამისათვის საჭიროა ოპტიმალური ვადები შევარჩიოთ, რათა შესაძლებელი იყოს ღირსეულად წარმოვაჩინოთ ჩვენი წლევანდელი ნაშრომი. მიუხედავად არსებული Covid 19-ის ეპიდსიტუაციისა, განყოფილებებში დაიწყო წლიური თემების დისტანციურ ფორმატში განხილვა. შარშან წლიური თემების მონიტორინგის კომისიის თავმჯდომარე ბრძანდებოდა ქალბატონი ლიანა ბითაძე. წელს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესების გამო, ის ვერ შესძლებს კომისიის თავმჯდომარეობას. გთხოვთ, შევარჩიოთ კანდიდატურა, ვისაც მივანდობთ ამ რთულ საქმეს.

გაიმართა მსჯელობა, აზრი გამოთქვს: გიორგი ჭეიშვილმა, ავთანდილ სონდულაშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ეკა კვაჭანტირაძემ, ლევან გორდეზიანმა.

გიორგი ჭეიშვილი: თუ სწორად მახსოვს, მთავრობის დადგენილება მკაცრად განსაზღვრავს, რომ 2021 წლის 31 იანვრამდე არანაირი შეკრებები არ შეიძლება. ამიტომ, იქნებ, წელს, განყოფილების გამგეებისგან მოვისმინოთ შესრულებული სამუშაოს ანგარიში და ამით დავკმაყოფილდეთ.

მარიამ ჩხარტიშვილი: თანამშრომელთა მიერ შესრულებული წლიური ნაშრომების მთავარი ექსპერტიზის უჯრედი ყოველთვის განყოფილებაა, არა მხოლოდ შექმნილი ეპიდსიტუაციის დროს; ვფიქრობ, საერთოდაც სწორი ფორმაა. რასაც განყოფილების სხდომაზე ვისმენთ, იგივეს წარვუდგენთ მონიტორინგის კომისიას. აქედან გამომდინარე, მისაღებია ეს ფორმა, თუ რაიმე პრობლემა შეიქმნება, განყოფილების ხელმძღვანელები გამოიტანენ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განსახილველად.

ეკა კვაჭანტირაძე: ქვეყანაში ეპიდსიტუაციის გაუარესების გამო, ვფიქრობ უხერხულიც არის თანამშრომლებს შეკრება მოვთხოვოთ. წინადადება აბსოლუტურად მისაღებია.

ქეთევან ხუციშვილი: ვინაიდან, წლიური თემები ელექტრონული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, ვფიქრობ, ნაშრომების ნახვა დირექციასაც შეეძლება, ასე რომ, სავსებით მისაღები წინადადებაა.

ლავრენტი ჯანიაშვილი: მეც ვეთანხმები მონიტორინგის ამ ფორმას და კიდევ ერთხელ მინდა დავაფიქსირო, რომ ჩვენი, შარშანდელი მიდგომა იყო, რომ მოგვეხდინა წლიური ნაშრომების რეცენზირება. არ ვიცი, ამ სიტუაციაში როგორ მოხერხდება რეცენზირების გაკეთება, მაგრამ მომავალი წლიდან მაინც უნდა დავუბრუნდეთ რეცენზირების ფორმას, რათა უფრო სერიოზული სახე მივცეთ ჩვენ მუშაობას.

კენჭი ეყარა საკითხს მიმდინარე წლის წლიური ნაშრომების მონიტორინგისა და განყოფილებების სამეცნიერო მუშაობის ანგარიშის წარმოდგენის ვადის შესახებ.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე – 13 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: წლიური თემების განხილვა–მონიტორინგი მოხდეს განყოფილებებში. 2021 წლის პირველი თებერვლისათვის განყოფილების ხელმძღვანელებმა წარმოადგინონ, თავიანთი განყოფილებების თანამშრომელთა მიერ, წლიური თემების შესრულების ანგარიში და განყოფილების 2020 წლის სხვა სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში.

მოისმინეს:

2. ინსტიტუტის აქტიურობის გაზრდა სოციალურ ქსელებში (ოპიციალური ფეისბუკ გვერდის შექმნა).

ლავრენტი ჯანიაშვილი: ხშირად ვსაუბრობთ, რომ ინსტიტუტში ბევრი კარგი საქმე კეთდება, თუმცა ჩვენი მუშაობის პოპულარიზაციას ჯეროვნად ვერ ვახერხებთ. პოპულარიზაციის ერთ–ერთ ფორმად სოციალური ქსელები მიგვაჩნია. ამის გაკეთება არც ისე რთულია, მითუმეტეს, რომ გვყავს კარგი პროგრამისტი, შესაძლებელია ფეისბუკ გვერდის შექმნა და ამ მხრივ, სასურველია, თქვენი მოსაზრებების მოსმენა. გვინდა შევჯერდეთ ყველასთვის მისაღებ დიზაინზე.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ქეთევან ხუციშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ეკა კვაჭანტირაძემ, ლევან გორდეზიანმა, ვაჟა კიკნაძემ.

ქეთევან ხუციშვილი: თუ საინსტიტუტო გვერდზეა საუბარი, მერე რა, რომ სოციალური ქსელია, მაინც სჯობს, რომ შენ, როგორც სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, იყო მთავარი მოდერატორი, რომელსაც სხვებიც ეყოლება დამხმარედ. მთავარია ის, ვინც სრულად გააკონტროლებს რა ინფორმაცია გავრცელდება სოციალურ ქსელში ინსტიტუტის სახელით. ვფიქრობ, ამას ორგანიზება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ უნდა გაუწიოს.

ლავრენტი ჯანიაშვილი: არ ვარ წინააღმდეგი, მიღებული ფორმაა, რომ ყველას შეეძლება ინფორმაციის განთავსება ინსტიტუტის გვერდზე. ამ შემთხვევაში, მე ამ გვერდის შექმნაზე მინდოდა გამემახვილებინა ყურადღება. სასურველია, გვერდს ისეთი დიზაინი ჰქონდეს, რომ ყველასთვის იყოს მისაღები. მინდოდა გვემსჯელა როგორ უნდა იყოს მთავარი გვერდი წარმოდგენილი, მასზე ბუნებრივია, მოთავსდება ინსტიტუტის ლოგო.

ქეთევან ხუციშვილი: ოფიციალური ვებ-გვერდის ანალოგიით გაკეთდეს. რასაც იქ ვიყენებთ სიმბოლოებად, იგივე გამოვიყენოთ. მართვა უნდა იყოს ერთი ადმინისტრატორის ხელში. მართვა ნიშნავს, რომ დავუშვათ და აღმოჩნდა ინფორმაცია მაგალითად, შეურაცხმყოფელი, მით უმეტეს ინსტიტუტი რთულ თემებზე მუშაობს, ვისაც ვენდობით, ამ შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარეს, ჰქონდეს უფლებები, რომ გააკონტროლოს და თუ ვანდობთ ბატონ ლავრენტის ამ გვერდის მართვას, სთხოვოს მამუკა დუმბაძეს, თუ სხვას, შექმნან ფეისბუკის გვერდი.

ვაჟა კიკნაძე: იქნებ, საქართველოს ისტორიული რუკა დავდოთ ლოგოს ქვემოთ.

ვალერიან ვაშაკიძე: ლოგოს შემდეგ უნდა იყოს განთავსებული მასალა იმის შესახებ, თუ რა საქმიანობას ვეწევით; ეთნოლოგიას, ფიზიკურ ანთროპოლოგიას, ძველ ისტორიას, წყაროთმცოდნეობას, ახალ და უახლეს ისტორიას მეტ-ნაკლებად რომ მოიცავდეს. არსებული მასალის ფოტოები ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიიდან, ისტორიული და ეთნოლოგიური არქივიდან, ბიბლიოთეკიდან.

მარიამ ჩხარტიშვილი: მთავარი გვერდი შეგვიძლია ვცვალოთ, იმის მიხედვით რა ღონისძიებაც გაიმართება ინსტიტუტში და ჩემი რჩევა იქნება, ჩავრთოთ ერთი ახალგაზრდა თანამშრომელი, რომელიც დაგეხმარებათ გვერდის მართვაში. შესაძლებელია იყოს საქართველოს ისტორიული რუკა.

კენჭი ეყარა საკითხს ინსტიტუტის ოფიციალური ფეისბუკ-გვერდის შექმნის შესახებ.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე – 13 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: დაევალოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ლავრენტი ჯანიაშვილს, ინსტიტუტის ოფიციალური ფეისბუკ გვერდის შექმნა და მომავალი წლის პირველი თებერვლისთვის გაგვაცნოს შედეგი.

მოისმინეს:

3. მიმდინარე საკითხები.

გიორგი ჭიიშვილი: განყოფილებების კრებულების საქმე მაინტერესებს, ყველა ჩავაბარეთ გამომცემლობას? ქრონოსთან დაკავშირებით რა ხდება არ ვიცი, რადგან ხელშეკრულების დამდეგი თსუ იყო მოვიკითხეთ, დაგვპირდნენ გაერკვეოდნენ, თუმცა დღემდე პასუხი არა მაქვს. 26 დეკემბერს ხაზინა იკეტება, მანამდე უნდა ჩაბარდეს პროდუქტი და გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი. „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“ გამომცემლობამ დროზე დაბეჭდა და უნივერსიტეტმა ფული გადაუხადა, თუმცა რატომ გადაუხადა ჩემთვის გაუგებარია, რადგან ეტაპობრივი გადახდა ხელშეკრულებაში არ იყო ჩადებული, ერთიანად უნდა გადახდილიყო ყველაფერი. გამომცემლობას მთლიანი დაბეჭდილი პროდუქტი უნდა ჩაებარებინა 45 დღეში.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** მარიამ ჩხარტიშვილმა, ლევან გორდეზიანმა, ქეთევან ხუციშვილმა, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა.

მარიამ ჩხარტიშვილი: ჩვენი განყოფილების ჟურნალი გადაცემული გვაქვს და გვეკონტაქტება ქალბატონი, რომელიც აკაზადონებს. ყოველ შემთხვევაში, მუშაობის პროცესშია და არ უთქვამთ რაიმე თუ საფრთხე გვემუქრება.

ქეთევან ხუციშვილი: ჩვენი განყოფილების ჟურნალის მომზადება ორი კვირის წინ დასრულდა. შეთანხმდა ყველაფერი და შემდეგ რა ბედი ეწია არ ვიცით. როგორ მოვიქცეთ?

ვალერიან ვაშაკიძე: ხუთშაბათს საღამოს გავარკვევ და მოგახსენებთ მდგომარეობას.

გიორგი ჭეიშვილი: სავარაუდოდ, 2021 წელსაც იგივე ეპიდსიტუაცია იქნება და ნაკლებად სავარაუდოა, რომ შევძლებთ მივლინებით საზღვარგარეთ კონფერენციებზე წასვლას, ამიტომ, თანხა საკმაოდ იქნება ბიუჯეტში, რომ არა მარტო ბეჭდვას მოვახმართ, არამედ დიზაინს და დაკაბადონებასაც, ალბათ, შევძლებთ თანდართული ინგლისური რეზიუმეების თარგმნასაც. ამავე დროს, წახალისების მიზნით, მინდა ჩვენ ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომლებს მომავალ წელს დავუფინანსოთ ერთი კრებული. შესაძლებელია საუკეთესო მონოგრაფიის გამოცემაც, რომელიც რეცენზირებული იქნება განყოფილების მიერ და სამეცნიერო საბჭო გადაწყვეტს რომელი მათგანი დაიბეჭდოს.

დაადგინეს: ა) დირექტორის მოადგილეს, ვალერიან ვაშაკიძეს დაევალოს, გაარკვიოს გამომცემლობასთან, თუ როდის დაიბეჭდება ინსტიტუტის კრებულები; ბ) მომავალ წელს, შეძლებისდაგვარად გაეწიოს დახმარება ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერებს თავიანთი მონოგრაფიის გამოცემაში.

სხდომამ დაადგინა:

1. წლიური თემების განხილვა–მონიტორინგი მოხდეს განყოფილებებში. 2021 წლის პირველი თებერვლისათვის განყოფილების ხელმძღვანელებმა წარმოადგინონ, თავიანთი განყოფილებების თანამშრომელთა მიერ, წლიური თემების შესრულების ანგარიში და განყოფილების 2020 წლის სხვა სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში.
2. დაევალოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ლავრენტი ჯანიაშვილს, ინსტიტუტის ოფიციალური ფეისბუკ გვერდის შექმნა და მომავალი წლის პირველი თებერვლისთვის გაგვაცნოს შედეგი.
3. ა) დირექტორის მოადგილეს, ვალერიან ვაშაკიძეს დაევალოს, გაარკვიოს გამომცემლობასთან, თუ როდის დაიბეჭდება ინსტიტუტის კრებულები.
ბ) მომავალ წელს, შეძლებისდაგვარად გაეწიოს დახმარება ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერებს თავიანთი მონოგრაფიის გამოცემაში.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

cm. 32

ლავრენტი ჯანიაშვილი

სხდომის მდივანი:

o hle

მარიამ ჩხარტიშვილი

7. 12. 2020